ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3071967

ნომერი: AR1472785

თარიღი : 24.01.2017

გაცემის თარიღი : 02.02.2017

გაცნობის თარიღი : 02.02.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა სამღებრო , N 21 , (ნაკვ. 64/39) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ციცინო ფუტკარაძე პ/ნ 01001000999
- წერეთლის გამზირი #89

ნომენკლატურა :

- სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)
- II კლასი
- ვადაგასული
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: სასტუმრო
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: თამაზ შაშიაშვილი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "ხურო XXI"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 206325797

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "ალეგრო"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204865271

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ციცინო ფუტკარაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01001000999

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2448554
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 2.11.2017

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სამღებროს ქ. N 21–ში (ნაკვ. 64/39), საცხოვრებელი სახლის რესტავრაცია ადაპტაციის არქიტექტურული პროექტის მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლასთან დაკავშირებით ახალი სანებართვო მოწმობის გაცემის საკითხს.

გაცნობებთ, რომ „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 24–ე მუხლის თანახმად აკრძალულია ძეგლზე რაიმე სამუშაოების ჩატარება საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ კანონით, დადგენილი შესაბამისი ნებართვის გარეშე. კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლზე, ზემოხსენებული კანონით გათვალისწინებული ნებისმიერი სამუშაოს განხორციელება საჭიროებს უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გაცემულ შესაბამის ნებართვას.

აღნიშნული კანონი კი არ ითვალისწინებს, ძეგლზე შესაბამისი ნებართვის მიღებადე სამშენებლო სამუშაოების წარმოებას და ძეგლზე შეთანხმებული პროექტის დარღვევით ნაწარმოებ სამუშაოებზე რესტავრაცია ადაპტაციის არქიტექტურული პროექტის მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლასთან დაკავშირებით ახალი სანებართვო მოწმობის გაცემას, ხოლო მოცემულ შემთხვევაში დადგენილი ფაქტობრივი გარემოებაა, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება მოხდა 2016 წლის 23 თებერვლის №2448554 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველ ნაწილში ასახული მითითებითი დისპოზიცია, პირდაპირ ავალდებულებს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომ კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ არ განახორციელოს რაიმე ქმედება და აქედან გამომდინარე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას, რომ დააკმაყოფილოს თქვენი #AR1472285 განცხადება, რომლითაც მოთხოვნა დაყენებულია მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლასთან დაკავშირებით ახალი სანებართვო მოწმობის გაცემაზე.

არ დაკმაყოფილდეს მოქალაქე ციცინო ფუტკარაძის #AR1472285 განცხადება.

უარი ეთქვას მოქალაქე ციცინო ფუტკარაძეს მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლასთან დაკავშირებით ახალი სანებართვო მოწმობის

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.